საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის

ბრძანება №5

2008 წლის 8 სექტემბერი

ქ. თბილისი

ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 15^{19} მუხლის მიხედვით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქადაგიძე

ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების რეეტრის წარმოების წესსა და პირობებს, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების პროცესში.
2. წინამდებარე წესის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების რეესტრში შეტანილ იქნეს ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს კანონის რეგულირების სფეროს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა. მათ გარდა წესში გამოიყენება ტერმინები შემდეგი მნიშვნელობით:

1. პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები – ფიზიკური პირისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, ხოლო იურუდიული პირისათვის სარეგისტრაციო მონაცემები.
2. სააგენტო – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.
3. აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ემიტენტის საწესდებო კაპიტალის ნაწილია და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებებს სააქციო საზოგადოების მოგების წილის მიღებაზე, სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობასა და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების ნაწილზე.
4. ამონაწერი რეესტრიდან – რეგისტრატორის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ფასიანი ქაღალდების მფლობელის საკუთრების უფლება ფასიან ქაღალდზე.
5. აქციის გადაცემა – აქციის მფლობელის უფლებების გადაცემა, რაც რეესტრში იწვევს ცვლილებას ახალი მფლობელის მონაცემების დაფიქსირებით;
6. რეგისტრირებული პირი – აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციების მფლობელი.
7. რეესტრის მასტერფაილი – ქაღალდის ან ელექტრონული ფორმით წარმოებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყოველი აქციონერის პიროვნული ანგარიშის ყველა რეკვიზიტს.
8. გადასაცემი განკარგულება – რეგისტრატორისათვის გადასაცემი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გადაცემის განხორციელების მოთხოვნებს.
9. გლობალური ოპერაციები – ოპერაციები (კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია), რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაზე.
10. პიროვნული ანგარიში – რეესტრში არსებული მონაცემების ერთობლიობა: მონაცემები რეგისტრირებული პირების შესახებ; ინფორმაცია ამ მონაცემების ყველა ტიპის ცვლილების შესახებ.
11. რეგისტრატორი – ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე ატესტირებული ფიზიკური პირი.
12. დანაწევრება – გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობის გაზრდა არსებულთან შედარებით გარკვეული კოეფიციენტით, რომლის შესაბამისადაც პროპორციულად მცირდება აქციის ნომინალური ღირებულება. დანაწევრების ოპერაცია არ იწვევს საწესდებო კაპიტალის შეცვლას.

13. კონსოლიდაცია – გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობის შემცირება არსებულთან შედარებით გარკვეული კოეფიციენტით, რომლის შესაბამისადაც პროპორციულად იზრდება ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება. კონსოლიდაციის ოპერაცია არ იწვევს საწესდებო კაპიტალის შეცვლას.

14. კონვერტაცია – ერთი კლასის ან კატეგორიის ფასიანი ქაღალდების გარდაქმნა სხვა კლასის ან სხვა კატეგორიის ფასიან ქაღალდებად, რაც ხორციელდება ემიტენტის მმართველი უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებით ან ემისიის პროსპექტის შესაბამისად.

15. მატერიალიზებული რეესტრი – ქაღალდის ფორმით წარმოებული რეესტრი.

16. არამატერიალიზებული რეესტრი – ელექტრონული ფორმით წარმოებული რეესტრი.

17. ფქესნ – ფასიანი ქაღალდის ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომერი.

მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი

1. დამოუკიდებელი რეგისტრატორი და ემიტენტი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თვითონ აწარმოებს თავისი ფასიანი ქაღალდების რეესტრს, ვალდებულნი არიან ფასიანი ქაღალდების რეესტრი აწარმოონ ამ წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. რეგისტრატორს არა აქვს უფლება უარი განაცხადოს ფასიანი ქაღალდების გადაცემის ოპერაციაზე ან სხვა საჭირო მოქმედების განხორციელებაზე, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ემიტენტის წესდებით, ამ წესით და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორი უარს განაცხადებს ოპერაციების კანონიერ განხორციელებაზე, მას ევალება დაინტერესებულ პირს არა უგვიანეს 3 დღის ვადაში წარუდგინოს დასაბუთებული უარი.

3. რეგისტრატორმა უნდა უზრუნველყოს:

ა) რეესტრის წარმოება მხოლოდ წინამდებარე წესის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით;

ბ) რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

გ) რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მხოლოდ ამ წესით დადგენილ სუბიექტებზე.

მუხლი 4. ფასიანი ქაღალდების რეესტრი

1. ფასიანი ქაღალდების რეესტრი იწარმოება მატერიალიზებული და არამატერიალიზებული ფორმით.

2. რეესტრის ოფიციალური ასლი უნდა არსებობდეს მატერიალიზებული (ქაღალდის) ფორმით და უნდა მოიცავდეს ყველა სააქციო საზოგადოების და ყოველი აქციონერის პიროვნული ანგარიშის ყველა რეკვიზიტს. იგი უნდა იქმნებოდეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს და დასტურდებოდეს რეგისტრატორის ორი ოფიციალური პირის ხელმოწერით და რეგისტრატორის ბეჭდით, აღნიშნული რეესტრის დედანი უნდა ინახებოდეს რეგისტრატორთან არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

3. არამატერიალიზებული ფორმით წარმოებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოდგენა შესაძლებელი უნდა იყოს სტანდარტულ ფორმატში (Word; Excel; PDF;).

4. რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ემიტენტის რეგისტრატორის შესახებ;

ბ) ემიტენტის, მისი აქციონერების და მისი დამფუძნებლების შესახებ;

გ) საწესდებო კაპიტალის ოდენობის, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების კლასის, საერთო რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების შესახებ;

დ) სააგენტოს მიერ მინიჭებული ფქესნ ყველა კლასის ფასიანი ქაღალდისთვის;

ე) ჩანაწერები ემიტენტის მიერ შეძენილი ან გამოსყიდული ყველა ფასიანი ქაღალდების შესახებ;

ზ) ინფორმაცია ყველა გლობალური ოპერაციის (კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია) შესახებ;

თ) ფორმულირება (გაანგარიშების მათემატიკური საფუძველი), რის შედეგადაც მოხდა ფასიანი ქაღალდების კონსოლიდაცია ან დანაწევრება.

5. რეესტრის წარმოება უნდა მოიცავდეს ისეთი სახის ოპერაციებს, როგორიცაა:

ა) რეესტრში ყოველი ჩანაწერის ქრონოლოგიური აღრიცხვა და ყოველი ჩანაწერისათვის თანამიმდევრული ინდივიდუალური ნომრის მინიჭება;

ბ) სარეგისტრაციო ჟურნალის ქრონოლოგიური რიგის მიხედვით წარმოება;

გ) რეგისტრირებულ პირთა პიროვნული ანგარიშების წარმოება;

დ) იმ ცვლილებების აღრიცხვა, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვასა და გლობალური ოპერაციების ჩატარებასთან;

თ) პიროვნულ ანგარიშებზე ყადაღა;

ი) რეესტრის მონაცემთა აღდგენის საშუალებების უზრუნველყოფა;

კ) რეესტრიდან ამონაწერების გაცემა.

6. რეესტრის წარმოება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ოპერაციებს:

აქციონერთა სიის მომზადება იმისათვის, რომ განისაზღვროს:

ა) ვის აქვს მინიჭებული ემიტენტის მართვის ორგანოებში მონაწილეობისათვის შეტყობინების მიღებისა და ხმის მიცემის უფლება;

ბ) ვისი აქციები გამოისყიდება ან გაუქმდება;

გ) ვისი აქციები ექვემდებარება დანაწევრებას ან კონსოლიდაციას;

დ) ვის აქვს მინიჭებული, აქციების მფლობელობიდან გამომდინარე, რაიმე უპირატესობა;

ე) სხვა საქმიანობა, რომელიც გათვალისწინებულია ემიტენტსა და რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 5. პიროვნული ანგარიში

1. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას რეგისტრატორს ევალება რეესტრში პიროვნული ანგარიშები გაუხსნას ნებისმიერ პირს, რომლებიც არიან ამ სააქციო საზოგადოების აქციონერები.

2. რეგისტრატორს ევალება პიროვნული ანგარიშები გაუხსნას ფასიანი ქაღალდების ყველა ახალ მფლობელს.

3. თითოეულ პიროვნულ ანგარიშს ენიჭება განსხვავებული ნომერი. ყოველი ჩანაწერის შეტანისას რეესტრში აღინიშნება რეგისტრირებული პირის სახელი და ამ პირის ანგარიშის ნომერი.

4. რეესტრში პიროვნული ანგარიშის გახსნა არ წარმოადგენს რეგისტრატორსა და პირს შორის ხელშეკრულების დადების საგანს, არამედ ეს არის ემიტენტსა და რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილი.

5. პიროვნული ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პიროვნული ანგარიშის ნომერს.

6. თუ ფასიანი ქაღალდი თანასაკუთრებაში იმყოფება, რეესტრში იხნება ერთი პიროვნული ანგარიში, რომელშიც ამ წესით დადგენილი მოთხოვნების გარდა დამატებით მიეთითება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები ყველა თანამესაკუთრისა და თანასაკუთრებაში თითოეულის წილის თაობაზე.

7. რეგისტრირებული პირის ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ყოველი ცვლილებისას უნდა გაკეთდეს ჩანაწერი ცვლილების მიზეზის, რეგისტრირებული პირის სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების შეცვლილი რაოდენობის, ფასიანი ქაღალდების ვალდებულებით დატვირთვის და ცვლილების თარიღის შესახებ. ასევე შეტანილ უნდა იქნეს ინფორმაცია რეგისტრირებული პირის წარმომადგენლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. თუ ნომინალურ მფლობელს, კლიენტების ფასიანი ქაღალდების გარდა, აქვს საკუთარი ფასიანი ქაღალდებიც, რეგისტრატორი ვალდებულია გაუხსნას მას ორი პიროვნული ანგარიში.

მუხლი 6. რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება

1. რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვთ შემდეგ პირებს:

ა) ემიტენტს;

ბ) რეგისტრირებულ პირებს;

გ) სააგენტოს.

2. რეგისტრირებულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ რეესტრიდან ინფორმაცია თავიანთ სახელზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების, ამ ინფორმაციაში ყველა ცვლილებისა და ემიტენტის საწესდებო კაპიტალთან კუთვნილი აქციების საერთო რაოდენობის პროცენტული შეფარდების შესახებ.

3. რეგისტრატორი ვალდებულია ემიტენტს წარუდგინოს რეესტრიდან ინფორმაცია იმ მოცულობით, რომელიც მითითებულია ემიტენტის შესაბამის მოთხოვნაში და რომელიც ეხება ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და მასში შეტანილ ცვლილებებს.

4. რეგისტრატორი ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს მიერ დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად, აგრეთვე ცალკეული მოთხოვნების შემთხვევაში.

მუხლი 7. ფასიანი ქაღალდების გადაცემა

1. ფასიანი ქაღალდების გადაცემა (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა და სხვა) დაიშვება ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამ მოთხოვნების დარღვევით ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია რეესტრში არ დაიშვება.

2. რეგისტრატორმა ფასიანი ქაღალდების გადაცემის ამსახველი ცვლილებების შესახებ ჩანაწერები რეესტრში უნდა შეიტანოს რეგისტრირებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი გადასაცემი განკარგულების საფუძველზე განკარგულების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

3. გადაცემის შესახებ გადასაცემი განკარგულების გამცემი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე პასუხისმგებელია მის მიერ დადასტურებული ფაქტების სიზუსტისა და სისრულისათვის.

4. თუ ფასიან ქაღალდებზე უფლებების გადაცემა ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის გარეშე, დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელობაზე უფლებების გადაცემა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეგისტრატორს წარედგინება ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ან სააღსრულებო ფურცელი;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებების გადაცემა ხდება მემკვიდრეობით, რეგისტრატორს წარედგინება ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა.

მუხლი 8. ამონაწერი რეესტრიდან

1. რეესტრიდან ამონაწერი გაიცემა რეგისტრირებული პირის სახელზე მისი პიროვნული ანგარიშის გახსნის დროს. რეესტრიდან ამონაწერი გადაეცემა რეგისტრირებულ პირს ან რეგისტრირებული პირის მოთხოვნის

შემთხვევაში გაეგზავნება მას პიროვნული ანგარიშის გახსნიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში ფოსტის საშუალებით.

2. რეესტრიდან ამონაწერი გადაეცემა როგორც რეგისტრირებულ პირს, ვისი პიროვნული ანგარიშიდანაც გადაირიცხება ფასიანი ქაღალდები, ისე იმ პირს, ვის სახელზეც ჩაირიცხება ფასიანი ქაღალდები.

3. რეგისტრირებული პირის მოთხოვნის შესაბამისად, რეგისტრატორი ვალდებულია დაადასტუროს მისი უფლებები ფასიან ქაღალდებზე რეესტრიდან ამონაწერის გაცემის გზით წელიწადში ერთხელ ანაზღაურების გარეშე, აგრეთვე მის პიროვნულ ანგარიშზე ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ხოლო ყოველ სხვა შემთხვევაში – ანაზღაურებით.

4. რეესტრიდან ამონაწერზე უნდა იყოს აღნიშნული:

ა) რეგისტრირებული პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;

ბ) რეგისტრირებული პირის პიროვნული ანგარიშის ნომერი;

გ) თარიღი, როდესაც გაიცა ამონაწერი;

დ) ემიტენტის სრული სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

ე) რეგისტრირებული პირის ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების კლასი, რაოდენობა და ნომინალური ღირებულება;

ვ) ფქესნ;

ზ) ფასიანი ქაღალდების ვალდებულებებით დატვირთვის შემთხვევაში ამონაწერი რეესტრიდან უნდა შეიცავდეს რეესტრში არსებულ შესაბამის ინფორმაციას;

თ) რეგისტრატორის სრული ოფიციალური სახელწოდება და საკონტაქტო რეკვიზიტები, საქმიანობის ლიცენზიის (ატესტატის) მიღების თარიღი და ნომერი;

ი) მითითება იმის თაობაზე, რომ ამონაწერი არ არის ფასიანი ქაღალდი და მხოლოდ ადასტურებს, რომ ამონაწერში ხსენებული პირი არის ამონაწერში აღნიშნული ფასიანი ქაღალდების მფლობელი გარკვეული თარიღისათვის;

კ) რომ ფასიანი ქაღალდების გაცემისა და ახალი მფლობელის რეგისტრაციისათვის სავალდებულოა წარედგინოს რეგისტრატორს შესაბამისად შედგენილი დოკუმენტები.

მუხლი 9. პიროვნულ ანგარიშებზე ოპერაციების ბლოკირება

1. რეგისტრირებულ პირთა პიროვნულ ანგარიშებზე ოპერაციების ბლოკირება არის რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი, რომელსაც ასრულებს რეგისტრატორი, რათა არ იქნეს დაშვებული ფასიანი ქაღალდების გადაცემის ოპერაციები განსაზღვრული ვადით ან რაიმე მოვლენის დადგომამდე.

2. ბლოკირება შეიძლება მოხდეს:

ა) რეგისტრირებული პირის განკარგულებით;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) იმ პირის მოთხოვნით, ვის სასარგებლოდაც იქნა ფასიანი ქაღალდები დატვირთული;

ე) ფასიანი ქაღალდების გირავნობით ან რაიმე სხვა სახის ვალდებულებებით დატვირთვა.

3. ბლოკირების შემთხვევაში რეგისტრატორმა რეგისტრირებული პირის პიროვნულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს კოდი და გააკეთოს ჩანაწერი ბლოკირების მიზეზის, ბლოკირებული აქციების რაოდენობისა და კლასის, ბლოკირების ვადის შესახებ და იმ დოკუმენტების მითითებით, რომელთა საფუძველზეც მოხდა ბლოკირება.

4. ბლოკირების შესახებ განკარგულების გამცემ პირს შეუძლია მოსთხოვოს რეგისტრატორს ამონაწერი ბლოკირების თაობაზე.

5. ბლოკირების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირის განკარგულების საფუძველზე, ვისი განკარგულებითაც მოხდა ბლოკირება ან ვინც, კანონის თანახმად, უფლებამოსილია, რომ გააუქმოს ბლოკირება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ბლოკირების შესახებ განკარგულებაში მითითებული ვადის გასვლისას;

ბ) მოვლენის დადგომის შემდეგ, რომელიც ბლოკირების შესახებ განკარგულებაში არის მითითებული;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) სააგენტოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6. ბლოკირების შეწყვეტისას, რეგისტრატორმა უნდა ამოშალოს შესაბამისი კოდი პიროვნული ანგარიშიდან.

მუხლი 10. გლობალური ოპერაციები

თუ ემიტენტი ახორციელებს გლობალურ ოპერაციებს, რეგისტრატორმა აღრიცხვის თარიღის მიხედვით უნდა შეიტანოს ყველა საჭირო მონაცემი რეესტრში შესაბამის პიროვნულ ანგარიშებზე 15 დღის ვადაში.